



<p style="text-align: center;">ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #140 (354/04) (SMP220003746)</p>	<p style="text-align: center;">Agreement on Public procurement #140 (354/04) (SMP220003746)</p>
<p>ქ. თბილისი 11 მაისი, 2023 წ.</p> <p>სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი თავმჯდომარის ავთანდილ კასრაძის სახით და Timothy Wagner შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის №159 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:</p>	<p>Tbilisi 11 May, 2023</p> <p>LEPL “Georgia’s Innovation and Technology Agency”, hereinafter referred to as “contracting authority”, represented by the chairperson Avtandil Kasradze and Timothy Wagner, hereinafter referred to as “supplier”, Solely referred to as a “party” and together referred to as a “parties”, acting under the Georgian legislation and the Subclause “b”, Clause 3, Article 10¹ of the Law of Georgia “on Public Procurement” and January 23, 2023, #159 Decree of the Government of Georgia, take execute this agreement on the following:</p>
<p>1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.</p> <p>1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.</p> <p>1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.</p> <p>1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.</p> <p>1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.</p> <p>1.6 „მომსახურება“ – ფასთა ცხრილით გათვალისწინებული მომსახურება.</p> <p>1.7 ფასთა ცხრილი – მიმწოდებლის მიერწარმოდგენილი ფასთა ცხრილი.</p> <p>1.8 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.</p>	<p>1. Definition of terms used in this agreement The terms used in this agreement have the following meanings:</p> <p>1.1 “Agreement on Public procurement” (hereinafter – “Agreement”) – agreement between the contracting authority and the supplier, signed by the parties, including all the annexes and the documents referred by this agreement.</p> <p>1.2 “Price of the agreement” – The whole amount, that the contracting authority must pay after the supplier performs all obligations duly, in good faith, and at the time and place determined.</p> <p>1.3 “Day”, “Week”, “Month” – Calendar day, week, month.</p> <p>1.4 “Contracting authority” - An entity performing procurement.</p> <p>1.5 “Supplier” - A person who was awarded Agreement on Public procurement by a contracting authority and supplies the contracting authority with the service/goods.</p> <p>1.6 „Service” - objects foreseen in the price chart.</p> <p>1.7 “Price chart” – price chart represented by the supplier.</p> <p>1.8 “Inspection” – and monitoring supervision of performance.</p>

<p>2. ხელშეკრულების საგანი</p> <p>ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა „დანართი #1“-ის შესაბამისად (CPV-79410000).</p>	<p>2. Subject of the agreement</p> <p>The subject of the contract consists of the state procurement for Business and management consultancy services CPV-79410000) according to the annex #1.</p>
<p>3. ხელშეკრულების ღირებულება</p> <p>3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 9,178 (ცხრაათას ას სამოცდათვრამეტი) აშშ დოლარი გადასახადების გათვალისწინებით.</p> <p>3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს</p>	<p>3. The price of the Agreement</p> <p>3.1. The price of the agreement is 9,178 (Nine thousand one hundred seventy-eight) USD including Taxes.</p> <p>3.2 The above-stipulated price includes the cost of the service, as well as all the expenses that ought to be undertaken by the supplier during the fulfillment of this agreement and all the taxes provided by the legislation of Georgia..</p>
<p>4. მხარეთა ვალდებულებები</p> <p>4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:</p> <p>ა) დანართი#1-ის შესაბამისად შესაბამისად შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2023 წლის 01 ივნისისა.</p> <p>ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;</p> <p>გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.</p> <p>4.2 შემსყიდველი ვალდებულია:</p> <p>ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;</p> <p>ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.</p>	<p>4. Obligations of the parties</p> <p>4.1 The Supplier is obliged to:</p> <p>A) Provide the services according to Annex #1 and conditions established by the Agreement documentation no later than June 01, 2023 after the agreement will enter into force.</p> <p>B) Review the buyer's claims and provide a motivated response to all of its questions, as well as react accordingly and ensure immediate remedy of the defects</p> <p>C) fulfill other obligations imposed on it by this agreement.</p> <p>4.2 The contracting authority is obliged to:</p> <p>A) ensure the implementation of inspections;</p> <p>B) to fulfill other obligations imposed on it by this agreement.</p>
<p>5. ინსპექტირება</p> <p>5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.</p> <p>5.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი - სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების კოორდინატორი (კონსულტანტი) - გიორგი ბაგაშვილი.</p> <p>5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.</p> <p>5.4 მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი</p>	<p>5. Inspection</p> <p>5.1 Contracting authority may perform an inspection and appoint the authorized person/people for this process and the supplier should facilitate him/her/them during the inspection process.</p> <p>5.2 The inspection process will be carried out by the authorized person of the contracting authority - Matching Grants Coordinator -Giorgi Bagashvili .</p> <p>5.3 Contracting authority may perform an inspection on any stage of the Agreement.</p> <p>5.4 Before signing acceptance certificate, authorized representator of the contracting authority may</p>

<p>უფლებამოსილია ჩაატაროს ტექნიკური და ხარისხის კონტროლი და თუ მომსახურებას აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.</p>	<p>perform technical and quality control and if the service will appear to have a defect, the supplier is obliged to remedy a defect during 5 (five) calendar days.</p>
<p>6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.</p>	<p>6. The rule for acceptance the service The parties will sign the Delivery-Acceptance Certificate. The certificate shall be executed in written form and should be signed by the authorized representative of the party, on the basis of the report on inspection.</p>
<p>7. ანგარიშსწორება 7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, ამერიკულ დოლარში. 7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ხელსეკრულების ღირებულება მომსახურების გაწევის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. 7.3 შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტებლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან. 7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. 7.5 დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.</p>	<p>7. Payment 7.1 Payment shall be made by non-cash payment, in USD. 7.2 The Purchaser undertakes to pay the cost of the services rendered to the Supplier after the submission of the Receipt and / or submission of the tax invoice by the parties. Payment will be transferred during 10 workingdays. 7.3 The Purchaser is entitled to withhold the amount of the imposed fine (if any) from the amount transferred to the Supplier. 7.4 Payment will be transferred during 10 working days. 7.5 Source of funding: State budget 2023.</p>
<p>8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება 8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. 8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების</p>	<p>8. Delay in performance of the contractual obligations 8.1 If the parties encounter any impediments during the performance of the contractual obligations due to which the fulfillment of the terms of the agreement is hindered, this party should immediately send a written notice to the other party about the fact of delay, its possible duration and the reasons for it. The receiving Party shall notify the other Party about the decision on these circumstances as soon. 8.2 If the parties, due to delays in the performance, agree to extend the period of fulfillment of the contractual obligations, the decision should be made by amending the Agreement, in accordance with Article 11 of the Agreement.</p>

<p>შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.</p>	
<p>9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა</p> <p>9.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>9.2 თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ან აფრთხილებს მას. თუ დამატებით ვადაში ან მიუხედავად გაფრთხილებისა მხარე კვლავ არ ასრულებს ან არსებითად არღვევს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.</p> <p>9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.</p> <p>9.4 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.</p> <p>9.5 თუ მხარეებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, ორივე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.</p> <p>9.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.</p>	<p>9. Non-performance of the contractual obligations</p> <p>9.1 Parties are liable to each other for non-performance or improper performance of their obligations under this agreement in accordance with the current legislation of Georgia.</p> <p>9.2 If one of the parties does not fulfill the obligation related to the subject of the agreement, the other party sets an additional period in writing or warns the party. If the party still fails to fulfill or substantively violates the obligation under the agreement within an additional period or despite the warning, the injured party has the right to unilaterally terminate the agreement.</p> <p>9.3 In case of the Supplier is in default as it is specified in sub-clause "a" of clause 4.1 of this agreement, the Supplier shall be liable for a penalty in the amount of 0.1% of the value of the delivered goods on each overdue day.</p> <p>9.4 In case of delay in the payment period specified in clause 7.2 of this Agreement, the Procuring Organization shall be liable for a penalty of 0.1% of the amount payable on each overdue day.</p> <p>9.5 If the total amount of the penalty imposed for the either party exceeds 2% of the agreement value, the non-defaulting party is entitled to terminate the agreement and demand from the defaulting party a payment of the penalty and payable at the time of termination of the Agreement.</p> <p>9.6 Payment of a penalty is not a ground to release the Supplier from the performance of the main obligation.</p>

<p>10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა</p> <p>10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.</p> <p>10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.</p>	<p>10. Amendments to the agreement</p> <p>10.1 Any amendment to this agreement shall be made in writing, with the signatures of the authorized representatives of both parties.</p> <p>10.2 If for any unforeseen reason there is a need to change the terms and conditions of the agreement, the initiator of the change is obliged to notify the other party in writing and provide the relevant information.</p>
<p>11. დავების გადაწყვეტა</p> <p>11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.</p> <p>11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.</p>	<p>11. Dispute resolution</p> <p>11.1 Disputes which arise between the parties during the fulfillment of the agreement shall be resolved through negotiations.</p> <p>11.2 If within 5 (five) days from the commencement of such negotiations the contracting authority and the Supplier fail to resolve the disputed issue, any party may apply to the Court of Georgia to resolve the dispute in accordance with the effective law.</p>
<p>12. ხელშეკრულების შეწყვეტა</p> <p>12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.</p> <p>12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.</p> <p>12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p>	<p>12. Termination of the Agreement</p> <p>12.1 Any of the Parties may terminate this Agreement if the other party won't fulfill its obligations or in other cases envisaged by the legislation of Georgia.</p> <p>12.2 Termination of certain provision or part won't free the party to fulfill other obligations.</p> <p>12.3 This Agreement may be also terminated at any time by the mutual written agreement of the Parties.</p>
<p>13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</p> <p>წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</p>	<p>13. Term of agreement</p> <p>This Agreement shall enter into force from the moment of its execution by the Parties and shall remain in force until the 31st of December 2023.</p>
<p>14. ფორსმაჟორი</p> <p>14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.</p> <p>14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი</p>	<p>14. Force Majeure</p> <p>14.1 Failure to comply with the terms of this agreement by any of the parties to this Agreement shall not result in the imposition of penalty sanctions if the delay in performance or the non-performance of its obligations is caused by the force majeure.</p> <p>14.2 For the purposes of this Article, "force majeure" means circumstances that are insuperable for the parties and beyond their control, which are not related</p>

<p>კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.</p> <p>14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.</p>	<p>to the failures and negligence of the contracting authority and/or the supplier, and which cannot be foreseen. Such circumstances can be caused by war or natural disasters, epidemics, quarantine, sharp reductions in budget allocations, etc.</p> <p>14.3 The party who has encountered a force majeure circumstance must immediately notify the other party in writing about the occurred circumstance and the term of its probable elimination, otherwise, it will not be released from the liability of a full or partial non-fulfillment of the terms of the agreement.</p>
<p>15. სხვა პირობები ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>	<p>15. Other Provisions The agreement is made electronically in English and Georgian languages.</p>
<p>მხარეთა რეკვიზიტები: შემსყიდველი: სსიპ "საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო" წარმოდგენილი თავმჯდომარის ავთანდილ კასრადის სახით, მის.: ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა ქ. №7 , საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ს/კ – 204 582 521</p> <p>მიმწოდებელი:</p> <p>Timothy Wagner ("the Consultant") US Passport No.: 642993809, Address: 2261 Market street 5185, San Francisco, CA, 94114, USA Bank Name: JP MORGAN CHASE BANK SWIFT/BIC CODE: CHASUS33 ABA Routing Code: 322271627 Account Number: 476713883 Recipient: Timothy Wagner <i>Tim Wagner</i></p> 	<p>The requisites of the parties Contracting authority:</p> <p>LEPL "Georgias's Innovation and Technology Agency, chairperson Avtandil kasradze Address: 7 Innovation St., Tbilisi, Bank Account: State Treasury Bank Code: TRESGE22 Identification Number: 204 582 521 Supplier</p> <p>Timothy Wagner ("the Consultant") US Passport No.: 642993809, Address: 2261 Market street 5185, San Francisco, CA, 94114, USA Bank Name: JP MORGAN CHASE BANK SWIFT/BIC CODE: CHASUS33 ABA Routing Code: 322271627 Account Number: 476713883 Recipient: Timothy Wagner <i>Tim Wagner</i></p> 

Annex #1: Terms of Reference and Scope of Services For Startup Matching Grants Program Investment Committee Member

Objectives

The objectives of the assignment is, the consultant as a member of the decision-making body established by the Client for the Startups Matching Grants Program, to contribute in decision making of awarding matching grants to selected applicants by providing its expertise, while preserving highest standard of integrity and not allowing bias.

Scope of Work

Following the objective of this assignment, the Investment Committee Member shall assume the following scope of work:

- (a) Attend applicant's pitching and Q&A sessions delivered by the pre-selected applicants in order to conduct evaluation in accordance with the following criteria:
 - Team;
 - Market Size / Scope / Opportunity;
 - Value Proposition;
 - Business Model;
 - Go to market strategy;
 - Competitive Positioning.
- (b) Take part in consensus meeting(s) to be held between Investment Committee Members and based on the results of the pitching and Q&A sessions, evaluates pre-selected proposals and assign scores against the criteria laid down in the Startup Matching Grants Manual;
- (c) Provide clear comments and justification in the Final Evaluation Grid explaining the reasoning and rationale behind the scores assigned to each criteria;
- (d) Draw recommendations, if any, for the consideration of Client and the Applicants;
- (e) Draw the list of selected applications during a consensus meeting(s).

Location, Timeframe and Duration

Consultant's services shall be delivered in Batumi, Georgia. Consultant is expected to allocate 3 business days' time input for the purpose of the assignment. Consultant shall take out field visit (2023 year 30 May – 2023 year 01 June) to Batumi, Georgia.

Obligations of the Client

Prior to commencement of the services, Client will provide to the Consultant: Startup Matching Grants Manual;

- (a) Startup Matching Grants Manual;
- (b) Pre-selected proposals;
- (c) Access to all available data, information, and documents relevant to this assignment;
- (d) Necessary permissions in the context of Matching Grants web portal;
- (e) Access to key program stakeholders;
- (f) Access to the relevant premises, equipment, and communications.

Consultant's Reporting Obligations / Deliverables Schedule

Report	Submission Date	Language and form of the report
Evaluation Report: Evaluation Grids (through matching grants portal) Activities conducted during the assignment	Last business day of the assignment	English, Electronic

დანართი #1: ტექნიკური დავალება და მომსახურების მოცულობა სტარტაპების გრანტების პროგრამის საინვესტიციო კომიტეტის წევრისთვის

ამოცანები

დავალების ამოცინაა მდგომარეობს იმაში, რომ კონსულტანტმა, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრის სახით, რომელიც დაარსდა კლიენტის მიერ სტარტაპების გრანტების ერთობლივი პროგრამისთვის, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე წვლილი შეიტანოს შერჩეული აპლიკანტების სასარგებლოდ შესაბამისი გრანტების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, უმაღლესი სტანდარტებისა და პატიოსნების პრინციპების დაცვით, მიკერძოებული მიდგომების გამოყენების დაუშვებლობის გზით.

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა

ამ დავალების მიზნიდან გამომდინარე, საინვესტიციო კომიტეტის წევრი იღებს შესასრულებელ სამუშაოთა შემდეგ მოცულობას:

- (a) მონაწილეობა მიიღოს განმცხადებლის შერჩევისა და გამოკითხვის პროცესში, რომლებიც ტარდება წინასწარ შერჩეულ კანდიდატებთან, რომელიც ტარდება შეფასების მიზნით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
 - გუნდი;
 - ბაზრის მოცულობა/სფერო/შესაძლებლობები;
 - წინადადების ღირებულება (Value Proposition);
 - ბიზნეს მოდელი;
 - ბაზარზე შესვლის სტრატეგია;
 - კონკურენტული უპირატესობა.
- (b) მონაწილეობა მიიღოს საინვესტიციო კომიტეტის წევრებს შორის გამართულ შეხვედრაში და შერჩევისა და გამოკითხვის პროცესში და შედეგების საფუძველზე, შეაფასოს წინასწარ შერჩეული წინადადებები და მიაწოდოს ქულები სტარტაპებისათვის გრანტების მინიჭების სახელმძღვანელოში დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;
- (c) წარადგინოს მკაფიო კომენტარები და დასაბუთება საბოლოო შეფასების ცხრილში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული კრიტერიუმისთვის მინიჭებული ქულის შესახებ;

- (d) შეადგინოს რეკომენდაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კლიენტისა და განმცხადებლების განსახილველად;
- (e) შეადგინოს შერჩეული განაცხადების სია შეხვედრ(ებ)ის დროს.

ადგილმდებარეობა, ვადები და მოქმედების ვადა

კონსულტანტის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში, ქ. ბათუმში. კონსულტანტს დავალების შესრულების მიზნებისთვის ეძლევა 3 სამუშაო დღე. კონსულტანტი განახორციელებს სავლელ ვიზიტს (2023 წლის 30 მაისიდან - 01 ივნისის ჩათვლით) ბათუმში საქართველო.

კლიენტის ვალდებულებები

მომსახურების გაწევამდე კლიენტი კონსულტანტს უზრუნველყოფს/მიაწვდის:

- (a) სტარტაპებისათვის გრანტების მინიჭების სახელმძღვანელოს;
- (b) წინასწარ შერჩეული წინადადებებს;
- (c) ხელმისაწვდომობას დავალებასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემთან, ინფორმაციასთან და დოკუმენტებთან;
- (d) აუცილებელ ნებართვებს გრანტების მინიჭების ვებ.პორტალთან;
- (e) წვდომას პროგრამის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან;
- (f) ხელმისაწვდომობას შესაბამის შენობება-ნაგებობებთან, აღჭურვილობასა და კომუნიკაციებთან.

კონსულტანტის ანგარიშგების ვალდებულება / შედეგების ცხრილი


ანგარიში	წარდგენის თარიღი	ანგარიშგების ენა და ფორმა
<p>შეფასების ანგარიში: შეფასების ცხრილი (შესაბამისი გრანტების პორტალის მეშვეობით); დავალების შესრულებისას ჩატარებული აქტივობები.</p>	<p>დავალების შესრულების ბოლო სამუშაო დღე</p>	<p>ინგლისური, ელექტრონული</p>

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ #140 ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

თავმჯდომარე

ა. 

ავთანდილ კასრაძე

თანადაფინანსების გრანტების
კოორდინატორი (კონსულტანტი)

გიორგი ბაგაშვილი

საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი

თ. 

თამთა ხაჭაკურიძე